


ს ი ა ს გ ი



ჩაულავებული „კოზირაბი“

„... წითელი არმიის მძლავრი დარტყმების შედეგად გერმანიის ჯარები დასავლეთისაკენ გარბიან და უდიდეს ზარალს ნახულობენ ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ისინი თითოეულ ზღუდეს ებღალე-
ქებიან და ცდილობენ გადაეადონ თავისი განადგურების დღე. მაგრამ ამაოა მტრის შეცდინება. ინი-
ციატივა ახლა ჩვენს ხელთაა და პიტლერის დახვედრული, დაუახვული მანქანის უხეირო ცდები ვერ
შესძლებენ წითელი არმიის შეტევის შეჩერებას“.

აშხ. სტალინის ბრძანებიდან — წითელი არმიის 24 წლისთავის გამო.

ბევრ „კოზირს“ ჩაებლაუქა პიტლერი ნაცემ-ნაბახი,
მაგრამ ჩაფუშეთ ყოველთვის მისი ჩვეული ტრაბახი.

ნახ. ვ. ლომიძისა



კავლები
 ჟურნალი
 ი. სტალინი

„კვალაზე გაბარე“ სიხრე

„რა თქმა უნდა, წითელ არმიას უხდება გერმანელი ფაშისტების ოკუპანტების მოსპობა, რამდენადაც მათ სურთ დაიპყრონ ჩვენი სამშობლო, ან როდესაც ისინი, გარემორტყმული არიან, რა ჩვენი ჯარებით, უარს ამბობენ იარაღის დატოვასა და ტყვედ დანებებაზე. წითელი არმია მათ ხაზობს არა მათი გერმანული წარმომავლის გამო, არამედ იმის გამო, რომ მათ სურთ დაიპყრონ ჩვენი სამშობლო.“

ეს იყო შობის წინა დღეს. პიტლერმა დარეკა, უმაღლესი გაიღო, ადიუტანტი გამოეჩინა და ბრძანებდა:

— ჰაილ ფიურერი!
 — გამოცხადდეს უბელვედერო! — მკვანედ გადაუბლა პიტლერმა.

ადიუტანტი მექანიკური კაცით გაბრუნდა და გზაში ოდნავ ჩაილიმა. სიტყვა „უბელვედერო“ დაამყარებელ დატყვევებულ ნიშნავდა „მესამე იმპერიის“ პროპაგანდის მინისტრ გებელსის მიმართ. ეს შერქმეული სახელი მაკრა „ფიურერმა“ მას, როგორც აპოლონ ბელვედერის უკუღმა შებრუნებული ასო-ციაკა და ამ სახელს მაშინ უწოდებდა, როცა განრისხებული იყო „ფიურერი“.

პიტლერის განრისხებას კი მისი მუცელი გამოუმტყველებდა აშკარად აღსატურებად. მაგიდაზე მას ფრონტიდან ახლად მიღებული ოპერატიული ცნობები ელა და ზედ ფანქრით უკაცუნებდა.

— დონნერ ვეტერ — მროსხანედ წაიღონა მან ბოლოს, — გამოიზიან, თხებივით გამოიზიან, ან ტყვედ უგაოდებიან რუსებს, — არაფერია გასტრა მათზე: მარცხის უფლება მივანიჭე, დაპყრობილ ადგილებში „ნაშოვარის“ სახლში გამოგზავნის ნება მივცი, ქალებთან არიული დატყვევების დასტური ვუბოძე, ბავშვებთან და მოხუცებთან ვუკაცობის გამოჩენის საშუალება შევუქმენი, — რაღა უნდათ მერი? არამზადები...

და მან მაგიდას მუშტი მაგრა დაარტყა სწორედ მაშინ, როცა ფეხსაკრეფით შესული გებელსი მის მაგიდასთან აიტუზა. მუშტის დარტყმაზე გებელსი ბურთივით შეხტა და მიღებული ხმით წაიკანავლა:

— ჰაილ, ჰაილ!
 — „ფიურერმა“ წყრომით გადახდა.

— რა „ჰაილ“, ჯუჯავ, რას ამბობ? მაშ შენ გამარჯვებას უსურვებ ყველა არამზადს?

— არა, მე მხოლოდ ერთს უსურვებ გამარჯვებას.

— ვის?

— ფიურერს!

— ჰო, მე სხვა საქმეა, — მოლბა პიტლერი. — დაჯექი და მომიხინე.

— ასე მოგისმენ ფიურერი, მიბრძანე.

— იცი რა გითხრა ჩემო ჯუჯავიკო? შენ რომ ასეთი კარგი ტყუილები არ იცოდე, აქამდე მტრად ვაქცევდი: ან რაინგნაუსავით წვეთი დაგეცემოდა, ან ბრაუნიჩივით დაიღვებოდი და დასასვენებელ სახლში მოგათავსებდი, ან სულიერად დაგადებოდი და საგიუ...

სიტყვა „საგიუეთის“ გახსენებაზე პიტლერმა თვალები დააბრიალა, დორბლი მოადგა და წამოხტა ფეთინივით. ეტყობა მას გაახსენდა თავისი ყოფნა საგიუეთში.

— ლიხსი არა ვარ, ფიურერი, — შეაწყვეტინა გებელსმა და მუხლებზე დაეარდა, — ვიცი, პიტლერის კაცები განგებ დამასმენდნენ, გეფიცები მე ერთგული ვარ, არაფერი დამიწვევია.

გულგოღინა მსახური

იტალიაში გერმანელ გენერლებს თავი ისე უჭირავთ, როგორც ოკუპანტებს.

ნახ. დონისა

გაზეთებიდან



მუსოლინი (გერმანელ გენერალს) — ინებეთ, სინიორ გენერალო, გასუფთავებულია.

— დააშვევ.
 — რა დაეშვევ ფიურერი, რა?

— ის, რომ სხვები შენზე უკეთ ცრუობენ.

— სხვები? ვინ სხვები?

— აი, მაგალითად ავიღოთ კვსლინგი, ან თუნდაც პეტენი, — ხედავ რა კარგად მოაწყოა რომის სასამართლო კომედია?

— ეგ ხომ ჩემი ინსტრუქციის მიხედვით არის მოწყობილი?

— ვიცი, მაგრამ მისი სიტყვის ღირსება იმაშია, რომ ბევრს შეიძლება მართალი ეგონოს მისი ქცევა.

ათასჯერ მითქვამს: ისეთი სიტყუი უნდა სიტყვა, რომ ყველამ დაიჯეროს მეთქი.

— მერე დაჯანა არ გეცდილობ, ფიურერი? მაგრამ ხომ იცით, ხალხიც გავშეშავდა, ასე ადვილი აღარ არის მოტყუება. განსაკუთრებით ზურგის მცხოვრებლებზე უნდა ითქვას, თორემ ჯარს არაფერს, მას დისკალინის საშუალებით ვაჯერებ ჩემს აზრებში.

— მაგაშიც სტყუი, შე ხის სოკოვ შინა! სწორედ ჯარის ვერ არწმუნებ როგორც წესია, ამაში ბრალთვითონ მე გდებ.

— რა ბრალი მიმიძღვის ფიურერი? ხომ განუწყვეტელი ვეწერ ბოლშევიკების ბარბაროსობაზე, ხომ ვეუბნები, რომ რუსეთს კულტურა არა აქვს, რომ სლავიანები კაცობრიობის მტრები არიან მეთქი. განა ეს სიტყუი უხარისხოა?

— უხარისხოა.

— რატომ, — ავი აქამდის მოგწონდათ?

— მომწონდა, სანამ ჩვენი ჯარი მსობრივად ტყვედ დანებებას შეეჩვეოდა, ეხლა ეგ სიტყუი აღარ ეარგა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შენ ბოლშევიკებსა და სლავიანებს სახსავ კაცობრიობის მტრებად — ეს ზოგადი მცნებაა, პირიქით, ისინი შენ უნდა დასახო მხოლოდ გერმანელების მტრებად ყველაზე საშინელ, შეურიგებელ მტრებად, საოცებები უნდა შეაზავო, ნიჭი, უნარი უნდა გამოიჩინო, უნდა შეაშინო ყოველი გერმანელი, რომ ის თუნდაც ანგლოზად გადაიქცეს, მხინცი თუ გაუგავს მას გერმანელობა, მაშინვე მოსპობენ საბჭოთა კავშირში.

— ო, მესმის ფიურერი, მესმის! მაგისი გაღრმავება შე მომანდეთ და იმედი მაქვს არ შეგარცხვენთ.

— მაგალითისათვის რა პოეტურ სახეებში შეგიძლიან გამოხატო ეს თეზისები?

— მაგალითისათვის? მაგალითი რა საჭიროა, ახლავი შევადგენ ფთაბეჭდილებებს ფრონტიდან, რომელშიც მოთხრობილი იქნება შემადრწუნებელი სურათები წითელი არმიის მიერ ტყვე გერმანელების წამებისა.

— რომით ვინა ხარ? — ეკითხებიან ისინი. ესთქვათ, ფრიც ჰაგენს.

— გერმანელი, — გამრულად მიუგებს ის.

— დახვრიტე გერმანელობისათვის, იძლევა განკარგულებას მეთაური.

— და ჰაგენს ხერხეტენ, შეგდებე მას კვლავ ეკითხებიან:

— საიდანა ხარ?

— ვიორტენბერგიდან, — უპასუხებს ჰაგენი.

— ხიშტზე ააგეთ ვიუტენბერგელობისათვის! — ბრძანებს კვლავ მეთაური და ჰაგენს ახლა ხიშტზე აგებენ.

— მშობლობიკ გერმანელები გყავს? — ეკითხებიან ხიშტზე აგების შემდეგ.

— გერმანელები არიან! — მიუგებს თვალდაუხამხამებლად ჰაგენი.

— მაშ ცეცხლზე დასწვით, რადგან მშობლობიკ გერმანელები ჰყოლია, — უბრძანებს კვლავ მეთაური და ჰაგენს ცეცხლზე სწვავენ.

— ხომ ტყიდ დაგვენბდი? — ეკითხებიან შემდეგ ცეცხლზე დასწვარს.


— დიას, ჩემი ნებით, იარაღი დავყარე და დაგვენბდი, რადგან გარემორტყმული ვიყავი.

— მაშ ჩამოახრჩო, როგორც ტყვე და როგორც გერმანელი, — ბრძანებს კვლავ მეთაური და დასწვარ ჰაგენს ახრჩობენ.

გებელსმა პათოსით დაბარულ ამ „შემადრწუნებელი“ სურათების შემდეგ შეხედა „ფიურერს“. მას კმაყოფილი ღიმილი უთამაშებდა სახეზე.

— ყოჩაღ უბილვედეროვ, მაინც ყველაზე დიდი არამზადა შენა ხარ და ამიტომ გენლობი, — უთხრა მას „ფიურერმა“, — კარგი სიტყუეა, წადი და იმოქმედე.

გებელსი კმაყოფილებისაგან ცალ ფეხზე ახტა და გაფრენილი ბუმბულივით გავიდა კაბინეტიდან. იმავე დღეს, როგორც გერმანიის, ისე ოკუპირებული ქვეყნების პრესაში და სადიოსადგურებში დაიწყო ახალი კავადონია, რაც დღესაც გრძელდება. მაგრამ ვერც პიტლერი და ვერც გებელსი ვერ მიხვდებოდნენ თუ რატომ ასეთი ბლაგვი გამოდგა მათი ყველაზე მაგარი სიტყუიკი?



— რა დიდი განხვავებაა, რასიულად, არიელებსა და რუმინელებს შორის და ბედი კი ერთი გვაქვს!
— ?
— ჩვენცა და მათაც ერთნაირად გვირტყამენ წითელარმიელები, ერთნაირადვე ვიყინებით რუსეთის ველებზე.

პრიელის ბებია

ქალბატონ კრიმპილდას ბერლინში ყველა კარგად იცნობდა. ვილჰელმ მეორის კარის ყოფილი სეფეჩალი, ჰიტლერმა (დაიხლოვა და მეტორე დედაკაცთა მეთაურობის პორტფელი ჩააბარა. ყველას ეზინოდა ქალბატონ კრიმპილდას ბოროტი ენისა. ქალბატონი კრიმპილდა ყველგან და ყოველთვის „ფიურერის“ სახელით ლაპარაკობდა, ყველას ერთსადაიმევეს ჩასჩინებდა:

— იტალიელები და ესპანელები ჩვენი ყურმოჭრილი მონები არიან: რომსა და მადრიდში ჩვენ გბატონობთ!

— თავქარიანი ფრანგები და გორონი ინგლისელები ჩქარა მონებრიან ქედს ჩვენი ფიურერის წინაშე.

— სლავთა ჯიუტი მოღვაძე სრულიად უნდა ამოწყდეს: მოსკოვი ჩვენი გახდება!

როკაპი კრიმპილდა გულცივიად სტუქსავდა ყველას, ვისაც თავლებზე მძიმე მწუხარების ცრემლებს შენიშნავდა:

— გერმანიის მსოფლიო ბატონობისათვის შეწირული შეილი მკვდრად როდი უნდა მიიჩნიოს დედამ!

გრცხვენოდით, ფრაუ!

— ცოლს უნდა ახარებდეს ქმრის ბრძოლის ცეცხლზე დაკრება, ვაჟკაცების მეტი რაა ქვეყანაზე?

გრცხვენოდით, ფრაუ!

მიჰბადით სმეს შეილიშვილს ფრიდრიჰ ფრიცვაგენს, რომელსაც არც დედა უნახავს და არც მამა; მაგრამ ხინებულად გრძნობს თავს, მზადაა თავი დასდოს არიული რასის მსოფლიო ბატონობისათვის. ფაშისტების არმია თავს დაესხა საფრანგეთს: ქალბატონი კრიმპილდა ისე შტუბდა, თითქო ყელში მეხი სჭეროდეს.

მაგრამ?! ჩქარა კრიმპილდას ერთადერთი შეილიშვილი ფრიდრიჰ ფრიცვაგენი ჯარში გაიწვიეს. შეკრიკმა უწყება თვითონ კრიმპილდას ჩააბარა საკუთარ ხელში. სეფეჩალის ამყად შედგებული ტანი იქვე ჩაიკეცა გულწასული...

ქალბატონმა მეტორე დღეს გაახილა თვალი: თავზე ადგა მალალი ტანის ოქროსფეროთმიანი თვრამერი წლის ჯაბუკი, რომელიც თავისი დიდრონი ცისფერი თვალებით უაზროდ ჩასცქეროდა საამაყო ბების ფერწასულ სახეს.

— დამშვიდდით, დიდდავ, თავი მოგეჭრება. თქვენ გმბლემა ხართ დიდებული გერმანიისა, არ შეგეფერებათ. მე არა მიშავს. გენერალ ბრაუხინის ადიუტანტად დამნიშნეს მთავარ შტაბში.

— ჩემო სასახელო შეილიშვილო, შტაბში ადიუტანტად... გენერალ ბრაუხინთან... კარგია, ძალიან კარგია... უკეთესს გერც მე მოვიფიქრებდი... ჩემო მსოფლიო ბატონობისათვის გაჩენილი ფრიდრიჰ!

ხუთიოდე დღის შემდეგ ფრიდრიჰ ფრიცვაგენი ბებია კრიმპილდას თანხლებით შევიდა ბრაუხინის შტაბში. გენერალს არ ესამოვნა ცნობილი როკაპის დანახვა.

შტაბში საიდუმლო ჩუროჩული გაჩაღდა:

— სუ, არტურ, არაფერი წამოგცდეს, გახსოვდეს, რომ ქალბატონ კრიმპილდას შეილიშვილია!

— სუ, როპან, მუდამ გახსოვდეს, რომ ფიურერის კაცია, ალბათ საიდუმლო დავლებით იქნება მოგზავნილი!

ფრიცვაგენს თავისთავი უკვე დიდ კაცად წარმოედგინა. პარიზში აღლუმზე ბრაუხინის მისდევდა უკან, მაგრამ თავი ისე მედიდურად ეჭირა, თითქო მთელი ქვეყნის ბედი მას სწოლოდეს მხრებზე.

ქალბატონ კრიმპილდას სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა ბედნიერმა ბებიამ გმირი შეილიშვილისაგან ვრცელი წერილი და მამაცურ პოზაში გადაღებული სურათი მიიღო.

როკაპის პირველი წინასწარმეტყველება აღსრულდა: პარიზში გერმანელი ფაშისტები გაბატონდნენ. ქალბატონ კრიმპილდას სიტყვას ძალა შეემატა: ამერიიდან იგი კიდევ უფრო საშიში გახდა ზერლინელ ობივატელისათვის.

ბერძნების თავდადებულმა წინააღმდეგობამ კოტა ჩააფიქრა ქალბატონი კრიმპილდა, მაგრამ ბებრის ბედმა აქაც გასჭრა და ათინიდანაც ისეთივე სურათი და წერილი მიიღო, როგორც პარიზიდან და ვარშავიდან.

ფრიდრიჰ ფრიცვაგენის სახელი საზღაბრად გაიზარდა: მან ამაყი სახე მიიღო. თვალებში მრისხანება ჩაისახლა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ვარშავაში ერთ ღამეს სამი გოგონა გააუპატრიურა.

ფრიდრიჰ ფრიცვაგენს ახალი საოცნებო გაუჩნდა: გმიროული პოზით შევიდეს წითელ მოსკოვში და მოსკოველი ქალებიც „მონიბლოს“.


ჰიტლერელთა ხროვა მართლა მიადგა მოსკოვის მისადგომებს.

— ჩქარა მოსკოვში იქნები, ხვალ თუ არა ზეგ ზომ მანც კრემლში დავბინავდები და მოსკოვიდან აღარ გამოვალ, სანამ რუსებს ურალის მთებს იქით არ გადაპრეკს ჩემი უძლიერელო არმია, — ფიქრობდა ჰიტლერი.

მაგრამ?!


მოსკოვის კარებთან მაგრად დაარტყა წითელმა არმიამ ჰიტლერის ხროვას და იძულებული გახდა იგი თავისი სისხლიანი დინგი ბერლინისაკენ მიეშვირა და ზურგი მოსკოვისაკენ. ფიურერი გაწყრა იმედების გაუცრუების გამო. ბრაუხინი გადააყენა და ფრიდრიჰ ფრიცვაგენი ცეცხლის ხაზზე გააწვია.

ყოველივე ქალბატონ კრიმპილდას დაუკითხავად მოხდა. ასეთ შეურაცხყოფას ადვილად აიტანდა როკაპი კრიმპილდა, მაგრამ ფრიდრიჰ ფრიცვაგენის უგზოუკვლოდ დაკარგვა ჯილარ აიტანა და თავისი ბოროტი სული დაუნანებლად ჩააბარა „ფიურერის“ ღმერთს ჯოჯობნეთში.



— ღვთის გულისათვის კარლუშა, ნუ გახვალ ქუჩაში ახე თბილად ჩაცმული, შეიძლება მოშკანდეს!

ნახ. დონისა



— არიქა! თავს ვუშველოთ!
— ვინ მოგვდევს! მხეცები?
— უარესი. ფაშისტები მოგვდევენ.

განა თუთიყუში

ქურდმა მოასწრო გატყევა, მაგრამ სიჩქარის გამო მას დარჩა ლამაზ გალიაში დამწყვდეული თუთიყუში, რომელიც პოლიციელმა წარადგინა უბნის განყოფილებაში.

— კარგია, — სთქვა მორიგე ინსპექტორმა, — დაეუკადოთ, უთუოდ პატრონიც მალე გამოჩნდება.

მაგრამ ის იყო ინსპექტორს უნდოდა განეგრძოთ თავისი საქმე, რომ თუთიყუშმა ყოყოყურად გაისწორა ფრთები და შეპყვირა:

— პაილ ჰიტლერ!

— პაილ ჰიტლერ! — ხელათვე გაიმეორეს ყველა იქ მყოფებმა და წამოხტნენ თავიანთ ადგილებიდან.

— ჰეშმარტად გერმანული თუთიყუშია, — კმაყოფილებით შენიშნა ინსპექტორმა და ისევ შეუდგა ოქმების წიგნის ფურცელს.

ფრინველი ცოტახნით გაჩუმდა, შემდეგ მკაცრად გადახედა იქ მყოფთ თავისი შრეგალი თვალებით და შეპყვირა:

— ამ კრეტინმა მე თავი მომაბეზრა! ეშმაკსაც წაუღია ის!

— რაო. რაო? — დაიკრავინა ინსპექტორმა. — როგორ ბედავ შეწუბაკო ასე ახსენა ჩვენი სათაყვანო ფიურერი.

— განა მან ის ბატონ ჰიტლერზე სთქვა? — გულუბრყვილოდ შეეკითხა პოლიციელი.

— რაკი კრეტინიო სთქვა, მაშ ჰიტლერზე იტყოდა! დროა, რომ თქვენ ამას ხედებოდეთ! დაადეთ ბორკილი ამ წყუღულ ფრინველს.

თუთიყუშს შეუკრეს ფეხები რკინის ძეწკვით. თუთიყუში არ ნებდებოდა და ჩხაოდა:

— უკვე თავისიანებს დაერია! ფრინი მოჰკლა. რეიხენაუ მოჰკლა! მალე ის წუბაკი ჩემამდინაც მოვა. მაგრამ არა, მოკლე ხელები აქვს! უფრო ადრე მე თვით ჩავაძაღლებ მას!

გამოიწვიეს სტენოგრაფისტკა და იმან დაიწყო თუთიყუშის დანაშაულებრივი სიტყვის ჩაწერა. (ქბადი იყო, რომ ის იმეორებდა თავისი პატრონის სიტყვებს. ინსპექტორი ნერვიულობდა ჯილდოს მოლოდინში. განა სასუბრო საქმეა დაიჭირო ასეთი თავხეხილადებული სახელმწიფოს მოლაპატე?

— დასწერეთ! — ჩხაოდა ამავე დროს თუთიყუში — დღეს ჩვენ ჩამოვადეთ თორმეტი ათასი საბჭოთა თვითმფრინავი... არა, უმჯობესია, თოთხმეტი ათასი! მილიონი! ახლა ბოლშევიკებს აღარ დარჩათ მეტი თვითმფრინავი! პაილ ჰიტლერ!

— ვგონებ ჩვენ შევცდით, — ჩაფიქრებით წარმოსთქვა ინსპექტორმა, — როგორც იატყობ იქ ისევ ჩვენი ფრინველია.

თუთიყუშს მოხსნეს ძეწკვი. იმან ფრთა-ფრთას შემოჰკრა და განაგრძო:

— თუ რუსები კვლავ ისე დაგვცხებენ როგორც აქამდე გვირტყამდნენ, მაშინ მალე ჩვენ სულ ყველას ბოლოს მოგვიღებენ.

თუთიყუშს ისევ შეუკრეს ფეხები.

— უმთავრესია დროზე გაასწოროს კაცმა საზღვარგარეთ, — განაგრძობდა თუთიყუში. — თუთიყუშმა ეს სიტყვები ისე დამაჯერებ-

ლად წარმოსთქვა, რომ ინსპექტორს თავში გაუფლავა აზრმა: „მართლაც და განა დრო არ არის, რომ მეც მოვკოცხო შვიციარისაკენ ან ბრაზილიისაკენ?“

მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მან იმ წამსვე გაჰფანტა თავიდან ეს ფიქრი. უცელობლად დამიჭერენ და თავს მომკვიფრენ, გაიფიქრა მან.

თუთიყუში ჩხაოდა:

— თუ ტყუილია, ტყუილი იყოს! გერმანელ ხალხს ყყვარს გაბრუება. დასწერეთ: გუშინ ჩვენ დაგბოკეთ ერთი მილიონი საბჭოთა ჯარისკაცები. ჩვენს ზარალს შეადგენს — ერთი მძიმედ დაჭრილი, რომელიც ორი წუთის შემდეგ, ცნობიერებაზე მოუსვლილად მოჩინა.

თუთიყუში ისევ გაათავისუფლეს. იმან ხელათვე გააფართხუნა ფრთები:

— რითი მჯობია მე ის ბანდიტი? მე თვით ბანდიტი ვარ, ვინ იცის რამდენი ხანია! ოჰ, ჩქარა სარდაფისაკენ, ისევ საბჭოთა ბომბ-დამშენები! სიკვდილი იმ არამზადას! რად გვინდოდა ჩვენ ამ დამლუპველი ომის დაწყება!

თუთიყუშს ისევ შეუკრეს ფეხები და ფრინველი იმდენად დაღლილი იყო, რომ უკვე საბოლოოდ დადუმდა.

ინსპექტორმა კმაყოფილებით დაიწყო ხელების ფშვნიკა:

— ამ თუთიყუშმა იმდენი რამ წამოაყრანტალა, რომ საკმარისი იქნებოდა ასი კაცის თავის მოსაკვით საბუთად. ახლა კი უთუოდ მივიღებ ჯილდოს და ამაღ...

ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. ინსპექტორმა აიღო მილი, ხანტად მიიღო ყურზე, მაგრამ იმ წამსვე გაფითრდა, წამოხტა ფეხზე, გაიჭიმა და ალულლულდა:

— დაბ, თქვენო აღმატებულებავ... ეხლანან მოიყვანეს თქვენო აღმატებულებავ... მომჯადოებელი ფრინველია, თქვენო აღმატებულებავ!

თუთიყუში დიდი პატივით გაგზავნეს თავის პატრონთან. პატრონი კი აღმოჩნდა თვით პროპაგანდის მინისტრი ბატონი გებელსი.

ნახევარ საათის შემდეგ, „სს“ — თა ოცეულმა ალყა შემოარტყა უბნის საპოლიციო განყოფილებას. საჭირო იყო დაუყოვნებლივ იზოლირება ყველა იმითი. ვინც მოიხმინა თუთიყუშის სენსაციური სიტყვა, იზოლირება და პირში ბურთის ჩაჩრა.

შემდეგ, ზატონმა გებელსმა გადასწყვიტა, რომ პირში ბურთების ჩაჩრა სადავიდარაბო საქმეა და არა საქმიანობა უზრუნველსაყოფი, და ბრძანა, გაუგებრობის თავიდან ასაცდენად, მოკვიფრად თავები ინსპექტორისათვის და ყველა დამატებულთათვის.

— ასე უმჯობესი იქნება, — სთქვა მან თავისთვის.

აი რის გაკეთება შეუძლია, ხანდახან, ერთ მოლაპატე ფრინველს. მიენიჭოს მას სასუფეველი ცათა შინა, ვინაიდან იმსაც მოჰკვეთეს თავი.

ლ. ლავინი

საქართველო ... კულტურა და სპორტი



ნახ. ს. ნადარეჟიძისა


კარგულია-ფანჯრის ჩესპუნლიკი ერთერთ პუნტზე, რომელიც დროებითი ოკუპირებულია გერმანულ-ფინურ ნაგებობა მიერ ოკუპანტებმა კულტურისა და დასვენების პარკის ადგილას „ზედით გახსნეს“ სასადლო.

ბიბლიოთეკა



1. კულტურის და დასვენების პარკი იყო აქ წარმტანი და დროებით საამურად ატარებდა ქალი, კაცი.

გრაფიკა აქ მუსიკა ბევრ ხანაზე აქ წახვდით, მზიარული ქალ-ფეხები დადიოდნენ ია-ვარდით.



2. შემდეგ, როცა ფაშისტებმა ხელში იგდეს ის დროებით, განიარჩევა მისი არე ამარზენი მყოფდროებით.

ის აქციეს მთლიან ორმოდ: სასადლოდ მათი მკედრების, — აი, საქმე „სახაზლო“ ფაშისტ „კულტურტრეგერების“